

საქართველოს გვიანბრინჯაო - ადრერკინის ხანის გრავირებული
გამოსახულებების შესწავლისათვის

ნინო ჯანაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე არქეოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა არქეოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დიმიტრი ახვლედიანი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

ნინო ჯანაშვილი,

14.06.15“

აბსტრაქტი

საქართველოს გვიანბრინჯაო - ადრერკინის ხანის გრავირებული გამოსახულებების შესწავლისათვის

გვიანბრინჯაო - ადრერკინის ხანაში სამხრეთ კავკასიასა და ჩრდილოეთ კავკასიის გარკვეულ ნაწილში ვრცელდება გრაფიკული დეკორით შემკული ნივთები: სარტყლები, აბზინდები, სამაჯურები, ცულები, შუბისპირები, მახვილები, ჩქიფები, უმბონები. ამ ნივთებზე ვხვდებით სხვადასხვა ცხოველის, ფრინველის, ქვეწარმავლის, ადამიანის გამოსახულებებსა და მრავალფეროვან ორნამენტს. ამ ნივთებზე დატანილი გამოსახულება ბევრ საერთო ნიშანს ავლენს. სარტყლებზე დატანილი გრავირება უფრო მრავალფეროვანია და ინფორმატიული, ვიდრე დანარჩენი არტეფაქტების გრავირებები, შესაბამისად უფრო სრულადაა შესწავლილი.

ჩვენი კვლევის ძირითადი მიზანია აბზინდებზე, სამაჯურებზე, ცულებზე, შუბისპირებზე, მახვილებსა და ჩქიფებზე მოცემული გამოსახულებები, შეძლებისდაგვარად, სარტყლების გამოსახულებებთან შესაბამისობაში მოვიყვანოთ. კვლევის ამ ეტაპზე სარტყლებზე მოცემულ ფიგურებს ვადარებთ

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულ ბრინჯაოს არტეფაქტებზე დატანილ გამოსახულებებს.

აბზინდების, სამაჯურების, ცულების, შუბისპირების, მახვილების, ფიბულების გამოსახულებები, რომლებიც უფრო კოლხური კულტურისთვისაა დამახასიათებელი, სტილისტურად აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულ სარტყლების გამოსახულებებს ემსგავსებიან. მიღებული მონაცემებიდან შეიძლება შემდეგი კულტურულ-ისტორიული დასკვნის გამოტანა: გრავირებით ნივთების შემკობის ტექნიკა კავკასიაში ერთდროულად იწყება ძვ.წ. IX ს.-დან და განსაკუთრებით ვრცელდება ძვ.წ. VIII ს-ში. ძვ.წ. VII ს-დან კი გრავირებული გამოსახულებებით შემკული ნივთები ოქროს არტეფაქტებმა ჩაანაცვლა.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: ბრინჯაო, სარტყელი, ცული, შუბისპირი, სატევარი, მახვილი, აბზინდა, საკინძი, ფიბულა, გრავირება.

Abstract

Studying Late bronze-Early iron age engraved images in Georgia

In South Caucasus and in some places of North Caucasus in the Late Bronze-Early Iron Age graphically decorated artifacts were spread. These are belts, clasps, bracelets, axes, spearheads, swords, tweezers, umboes with the engraved images of various animals, birds, snakes, human figures and ornaments. Engraved images in these materials seem to be similar. The aim of our research includes the engraved images made on axes, spearheads, swords, clasps, fibulae to adjust in accordance with belt images. In this work we are dealing with artifacts kept at the Georgian National Museum. Representations on clasps, bracelets, axes, spearheads, swords, fibulae which are typical of the Colchian culture, stylistically resemble images on belts spread in East Georgia.

On the grounds of our research, we can make a cultural and historical conclusion: in Caucasus, technique of engraving on materials began simultaneously in the 9th c. BC. It was wide-spread in the 8th c. BC. From the 7th c. BC. engraved bronzes were substituted by gold artifacts.

Key words: Bronze, belt, axe, spearhead, sword, clasp, pin, fibulae, engraving.

მადლობა

მინდა გაწეული დახმარებისთვის მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ბატონ დიმიტრი ახვლედიანს, რომელმაც მომცა სწორი მიმართულება და ბაზისი რომ დამეწყო ამ თემაზე მუშაობა. ბატონ ერეკლე ქორიძეს, რომელმაც დამრთო ნება ფონდებში მემუშავა. მხატვრებს, ქალბატონ ინგა ესვანჯიას და რუსუდან ბერიძეს, რომლებმაც ნაშრომისთვის გრაფიკული ნახატები გააკეთეს.